

„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“

ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში

2013 წ. 1-12 ივლისი

ზოგადი ინფორმაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, მათემატიკასა და ინფორმატიკაში თბილისის საერთაშორისო ცენტრი და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი ატარებენ ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ,“ რომელიც გაიმართება 2013 წლის 1 – 12 ივლისს. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები მე-6-დან მე-12 კლასის ჩათვლით. მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 მოსწავლეს, რომელიც დაიყოფა 4 ჯგუფად.

მიზანი: პროექტი „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ ითვალისწინებს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს მათემატიკის გამოყენებითი ასპექტები, მოაწყოს შეხვედრები ცნობილ მეცნიერებთან, ჩართოს დაინტერესებული მოსწავლეები სამეცნიერო მუშაობაში შესაძლებლობის ფარგლებში. ზემოაღნიშნულის განხორციელება ნავარაუდევია არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი სახელმწიფოების მოსწავლეებისათვისაც, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის ადრეული ასაკიდან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. .

პროგრამა: პროგრამა შედგება 5 ნაწილისაგან: 1) მოუსმინე, 2) გაიმეორე, 3) შეისვენე, 4) ცოდნა გაუზიარე, 5) ითამაშე. თითოეული ითვალისწინებს:

1) **მოუსმინე**
   მეცნიერებთან შეხვედრა და მათ მიერ საჭირო ინფორმაციის გადაცემა.
2) **გაიმეორე**
   ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად, მოსმენილი მასალის განმტკიცება თვალსაჩინო სავარჯიშოებისა და მაგალითების განხილვით.
3) **შეისვენე**
   პირველი ორი საათის შემდეგ; შესვენებას კვებით უზრუნველყოფს მშობელთა კომიტეტი.
4) **ცოდნა გაუზიარე**
   მოსმენილი მასალის ურთიერთგაზიარება და ანალიზი ხელმძღვანელისა და მეცნიერის მეთვალყურეობით.
5) **ითამაშე**
   ითვალისწინებს სპორტში, ხელოვნებაში და მუსიკალურ სფეროში ღონისძიებათა ჩატარებას.

გარდა ამისა, მოეწყობა ექსკურსიები თსუ-ს ზოოლოგიისა და მინერალოგიის მუზეუმებში; ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, ნავარაუდევია თბილისის, ჭიათურის, ქუთაისისა და ახალციხის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება.

ზაფხულის პროგრამა ითვალისწინებს წინასწარ შეთანხმებულ ოჯახებში ართვინიდან და ჭიათურიდან მოსწავლეთა მიღება-მასპინძლობას თბილისში 1-დან 10 ივლისამდე, ჭიათურაში 11-12 ივლისს.

.

სამუშაო დღეები: 1 – 10 ივლისი 2013, თბილისში; 11-12 ივლისი 2013, ჭიათურაში.

სამუშაო საათები: 12:00 – 17:00

შენიშვნა: მოსწავლეთა მიღება მოხდება სააპლიკაციო საბუთების მიხედვით.

შევსებული და ხელმოწერილი ფორმა უნდა მოგვაწოდოთ 2013 წლის 8 მაისიდან 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 14:00 საათიდან 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ოთახი 233, უნივერსიტეტის ქ. 2 (თსუ მაღლივ კორპუსთან), თბილისი. სრული სააპლიკაციო საბუთების გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: informtb@gmail.com

საკონტაქტო პირები ინსტიტუტში: ჟანა ბოლქვაძე (**557 66 64 51**), იუსუფ ფ. გიულვერი (**557 52 32 42**)
თსუ საბავშვო უნივერსიტეტში: მარინა ლომოური (**577 24 45 24**).

მოსწავლის განაცხადის ფორმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისის საერთაშორისო ცენტრი მათემატიკასა და ინფორმატიკაში და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი

ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში
1-12 ივლისი 2013 წ.
„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“
განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 2013 წლის 22 მაისი

კლასი: _____

მოსწავლის სახელი და გვარი: _____

მოსწავლის საშუალო ქულა მათემატიკაში: _____

სახლის მისამართი: _____

დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): _____ _____ _____

სკოლის დასახელება, სადაც მოსწავლე ამჟამად სწავლობს: _____
_____

მშობლის ან მეურვის სახელი და გვარი: _____

სახლის ტელეფონის ნომერი: _____

მობ. ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული ფოსტა: _____

მშობლის (მეურვის) ხელმოწერა: _____

რა მიზნით მოდიხართ?

** პროგრამაში „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ” მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები ელექტრონულად და მესიჯის სახით მიიღებენ 2013 წლის 25 მაისამდე!

მასპინძელის განაცხადის ფორმა

მშობლების (ან მეურვის) პროფესია:

დედა: _____

მამა: _____

ჩამოსული მოსწავლის სტუმრად მიღების მზადყოფნა (თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ართვინიდან ან თბილისი/ჭიათურიდან) :

კი: _____ არა: _____

რომელ ენებს ფლობთ (გარდა ქართულისა): _____

მოკლედ აღწერეთ 2 მოსწავლისათვის (სტუმრისათვის საქართველოდან და თურქეთიდან) შესაძლო შეთავაზებული პირობები:

*** შესაძლებელია არსებული სიტუაციის გაცნობის მიზნით მასპინძელ ოჯახში საორგანიზაციო კომიტეტის წევრების ვიზიტი.